

„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო-ს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნისა და მრჩევლობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2019 წლის 11 დეკემბრის N 11 განკარგულებით შექმნილი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 3

2019 წლის 23 დეკემბერი  
ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N 37

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე - თამარ მამეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: ლევან გობაძე, მანანა შარაშიძე, ნათია კუპრაშვილი, გივი მგელაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევ კონკურსზე კონკურსანტების: ლაშა ზარგინავას, თეიმურაზ დიასამიძის, ჯემალ მეგრელიძის, ნათია აფხაზავას მიერ ხარვეზის შესავსებად დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა (მომხსენებელი თამარ მამეიშვილი - კომისიის თავმჯდომარე).

2. კონკურსის II ეტაპის გასაუბრების განრიგის განსაზღვრა (მომხსენებელი მანანა შარაშიძე - კომისიის მდივანი).

კომისიის წევრებმა დაამტკიცეს დღის წესრიგი.

მოისმინეს:

მომხსენებელმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს გააცნო კონკურსანტების: ლაშა ზარგინავას, თეიმურაზ დიასამიძის, ჯემალ მეგრელიძის, ნათია აფხაზავას მიერ ხარვეზის შესავსებად დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია:

1. ლაშა ზარგინავას მიერ წარმოდგენილი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობამ და მიღებული განათლების შესაბამისობამ მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან კომისიის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

ლაშა ზარგინავას წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა ასეთი იყო: 1) განათლების მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს ბრძანება სალიცენზიო რეესტრში სასწავლებლის სახელწოდების ცვლილების შესახებ, რომლის თანახმადაც, შპს „ი. ვეკუას სახელობის უნივერსიტეტი“ შეცვალა სახელწოდება და დაერქვა შპს „საქართველოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტი“. 2) 2000 წლის 5 ივნისს სალიცენზიო კომისიის მიერ გაცემული ლიცენზია - შპს „ცხუმის“ სოხუმის აკადემიკოს ი.ნ. ვეკუას სახელობის ინსტიტუტისათვის“ ლიცენზიის მინიჭების თაობაზე; 3) შპს „საქართველოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტი“ ცნობა იმის შესახებ, რომ ლაშა ზარგინავა 2000 წლის 7 აგვისტოს ჩაირიცხა აღნიშნულ სასწავლებელში, 2005 წელს კი დაასრულა ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობა; 4) დიპლომის დანართი, ნიშნების ფურცელთან ერთად, საიდანაც იკვეთებოდა, რომ ლაშა ზარგინავა აღნიშნულ სასწავლებელში სწავლობდა 5 წლის განმავლობაში.

კომისიის წევრმა - ლევან გობაძემ კომისიის წევრებს გააცნო დოკუმენტაცია, რომელიც სახელმწიფო უწყებების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული. კერძოდ: ა) საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2004 წელს, შპს „სოხუმის ი. ვაკუას სახელობის უნივერსიტეტი“ შეიქმნა დასახელება და გადაკეთდა შპს „საქართველოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტად“. ამავ დროს, არც „სოხუმის ი. ვაკუას სახელობის უნივერსიტეტი“ და მისი უფლებამონაცვლე „საქართველოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტი“ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რეესტრში

([https://www.mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo&fbclid=IwAR2SatGuHDAoDNEQo\\_lhc5\\_1cP2VGqyZd0LprzC8qETHrV-YpTBICT4QmL](https://www.mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo&fbclid=IwAR2SatGuHDAoDNEQo_lhc5_1cP2VGqyZd0LprzC8qETHrV-YpTBICT4QmL)) არ ირიცხება; ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

საიტზე ატვირთულია მასალები აღნიშნული შპს-ების შესახებ. ერთ-ერთი დოკუმენტა - ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ალექსანდრე გოგუაძის 2007 წლის 25 სექტემბრის ბრძანება 11ა/575 საქართველოს სახელით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ 2006 წლის 22 დეკემბერს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოში დარწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტის“ რექტორის მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევით სტუდენტთა მიღების და მათ მიერ გადახდილი თანხის მითვისების ფაქტზე;

ლაშა ზარგინავას მიერ დამატებით წარმოდგენილი ცნობა გაცემულია იგივე იურიდიული პირის - შპს „საქართველოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტის“ მიერ და ცნობას ხელს აწერს იგივე რექტორი, რომლის წინააღმდეგაც აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნული ინფორმაცია გაუღებელი იქნა კანდიდატთა დოკუმენტების განხილვის ეტაპზე.

კანდიდატის - ლაშა ზარგინავას მიერ გამოგზავნილი და კომისიის წევრის - ლევან გობაძის მიერ მოძიებული დოკუმენტაციის შეჯერებისას კომისიის ხუთივე წევრმა დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება, თუ რამდენად შეიძლებოდა კანდიდატის დაშვება მეორე ეტაპზე. ლევან გობაძის მოსაზრებით, კომისიას უნდა მოეთხოვა არა ნებისმიერი დამადასტურებელი ცნობის, არამედ დიპლომის ნამდვილობის და ასეთის დადასტურების შემთხვევაში მიღებული განათლების მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან შესაბამისობის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენა განათლების ხარისხის დამადასტურებელი ეროვნული ცენტრიდან. უმაღლესი სასწავლებლების რეესტრში არარსებული უნივერსიტეტიდან წარმოდგენილი ცნობა არ შეიძლება ჩაითვალოს დიპლომის ნამდვილობის აღიარების საფუძვლად.

კომისიის კიდევ ერთი წევრი - მანანა შარაშიძე დაეთანხმა ლევან გობაძის არგუმენტებს და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინება მიზანშეწონილი არ არის ლაშა ზარგინავას მეორე ეტაპზე დაშვება.

კომისიის დანარჩენი სამი წევრის მოსაზრება ამ საკითხზე კი ერთმანეთს ემთხვეოდა და ასეთი შინაარსის იყო: რაკი კომისია ხელმძღვანელობს ყველა კანდიდატთან ერთნაირი მიდგომის პრინციპით და დანარჩენი ორი კანდიდატის - ჯემალ მეგრელიძისა და ნათია აფხაზავას შემთხვევაში, რომელთაც ასევე დაუდგინდათ ხარვეზი განათლების ხარისხის დადასტურების ნაწილში, კომისია დაკმაყოფილდა დიპლომის დანართის წარმოდგენით, ამ შემთხვევაშიც კომისია უნდა დაეყრდნოს კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ცნობას, რომელიც მსგავსია სხვა კანდიდატების მიერ წარმოდგენილ ცნობებისა და აქედან გამომდინარე უნდა იმსჯელოს. კომისია ვერ შეეპროცესში, რომელმაც უნდა იკვლიოს სასწავლებლის ხელმძღვანელობის სისხლის სამართლებრივი დანაშაულის და სხვა მსგავსი საკითხები. ამ არგუმენტის საფუძველზე კომისიის წევრებმა - თამარ მამეიშვილმა, ნათია კუპრაშვილმა და გივი მგელაძემ დასაშვებად სცნეს კანდიდატ, ლაშა ზარგინავას გადასგლა მეორე ეტაპზე.

კენჭისყრის შედეგად, ლაშა ზარგინავას გასაუბრების ეტაპზე დაშვების საკითხი კომისიის წევრებს შორის ასე გადასაწილდა: მომხრე -3 (თამარ მამეიშვილი, ნათია კუპრაშვილი, გივი მგელაძე) წინააღმდეგი -2 (მანანა შარაშიძე, ლევან გობაძე). კენჭისყრის შედეგი: 3:2.

2. თეიმურაზ დიასამიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დადასტურდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 27 აგვისტოს N 6 განკარგულების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნით დადგენილ სფეროებში მუშაობის ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება. თეიმურაზ დიასამიძის გასაუბრების ეტაპზე დაშვების საკითხს კომისიის წევრებმა არ დაუჭირეს მხარი. კენჭისყრის შედეგი: 5:0.

3. ჯემალ მეგრელიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით დადასტურდა მიღებული განათლების შესაბამისობა მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან. ლევან მეგრელიძის გასაუბრების ეტაპზე დაშვების საკითხი კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს. კენჭისყრის შედეგი: 5:0.

4. ნათია აფხაზავას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით დადასტურდა მიღებული განათლების შესაბამისობა მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან. ნათია აფხაზავას გასაუბრების ეტაპზე დაშვების საკითხი კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს. კენჭისყრის შედეგი: 5:0.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მანანა შარაშიძემ კომისიის წევრებს გააცნო კონკურსის II ეტაპის გასაუბრების გრაფიკი: კონკურსის II ეტაპი - გასაუბრება გაიმართება 2019 წლის 24 დეკემბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. № 37)

24 დეკემბერი, 2019 წელი

11:00 სთ.

1. ბეჟან გობაძე
2. არჩილ ხახუტაიშვილი
3. ლაშა ზარგინავა
4. ცილა ქათამიძე

15:00

1. ჯემალ მეგრელიძე
2. ნათია აფხაზავა
3. ირმა ზოიძე
4. გია ქარცივაძე

თითოეულ კანდიდატს კონცეფციის პრეზენტაციისთვის დაეთმობა არაუმეტეს 10 წუთი. კითხვა-პასუხისათვის არაუმეტეს - 25 წუთი.

კენჭისყრის შედეგი: 5:0.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩეველობის კანდიდატის შესარჩევ კონკურსზე კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევის შედეგად კონკურსის II ეტაპზე გადასული იქნენ:

1. ზეჟან გობაძე
2. არჩილ ხახუტაიშვილი
3. ლაშა ზარგინავა
4. ციალა ქათამიძე
5. ჯემალ მეგრელიძე
6. ნათია აფხაზავა
7. ირმა ზოიძე
8. გია ქარცივაძე

2. დამტკიცდეს კონკურსის II ეტაპის გასაუბრების განრიგი (თანახმად დანართისა).
3. დაევალოს კომისიის მდივანს, უზრუნველყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩეველობის კანდიდატის შესარჩევ კონკურსზე კანდიდატებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და აჭარის უმაღლესი საბჭოს საიტზე განთავსების უზრუნველყოფა.

კომისიის თავმჯდომარე *ა. ჯიჭია* თამარ მამეიშვილი

კომისიის მდივანი *მანანა შარაშიძე* მანანა შარაშიძე